საკითხი 1

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საკითხები

აზრი გამოთქვეს:

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მრჩეველთა საბჭოს წევრების მეტ ჩართულობაზე და აქტივობაძე,რათა მოსახლეობის პრობლემები და საჭიროებები მიტანილ იქნას მერიის სამსახურამდე.

ელეონორა ნანიშვილმა ისაუბრა ქუჩების მოწესრიგებაზე (კერძოდ ფეხით სავალი ნაწილის დალაგება დასუფთავებაზე)

დალი რაზმაძემ,აღნიშნა რომ სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია მოხდა,მაგრამ გასაკეთებელი და მოსაწერიგებელია სკოლის ეზოს ტერიტორია და ითხოვა ,რომ ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნას მომავალ ბიუჯეტში.მერმა ბატონმა სერგო ხიდეშელმა სკოლის დირექტორს აღუთქვა დახმარება და სთხოვა წერილობით წარმოედგინა დასმული საკითხი.

ნაზიბროლა გავასელმა ისაუბრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და სამხატვრო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაზე.კერძოდ ბაზრის ტერიტორიის მხარეს ღობის გაკეტება,ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საკვამლე მილების გაკეტება.

ბატონმა სერგო ხიდეშელმა დაავალა ინფრა სტრუქტურის სამსახურს ხარჯთაღრიცხვის გაკეთება და ამ პრობლემების მოგვარება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სერგო ხიდესელმა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებსუპასუხა,აღნიშნა ,რომ თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

კენჭი ეყარა

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

კენჭის ყრის შედეგად დაადგინეს 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს დაყენებული საკითხები და ამის შემდეგ იქნეს მოწონებული ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი.

საკითხი 3

ევროპის საბჭო,ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ (მომხსენებელი მრჩეველი საბჭოს წევრი ახალგაზრდობის ჭარმომადგენელი თამარ ხომასურიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა,რომ ონის მუნიციპალიტეტი აკმაყოფილებს საქართველოს ადამიანის უფლებების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - შექმნილია შესაბამისი სააგენტოები,სამუსაო ჯგუფები და შემუშავებულია სტრატეგიების ნაწილი.

იმისათვის რომ შეასრულოს საკანონმდებილო მოთხოვნები და ვალდებულებები,ონის მუნიციპალიტეტმა შექმნა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. გენდერული თანასწორობის საბჭო
2. სამოქალაქო საკონსულტაციო საბჭო
3. შ.შ.მ პირების უფლებების საბჭო
4. ახალგაზრდობის საკითხთა საბჭო
5. ბავშვთა და ოჯახის უფლებების დაცვისათვის დანიშნული მოხელე

ადგილობრივი თვითმართველობის კანონის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩამოყალიბდა მერის მრჩეველთა საბჭო,რომელიც არის შუამავალი რგოლი მერსა და სამოქალაქო საზოგადოების შორის.საბჭომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.საბჭოს სხვა ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა

აზრი გამოთქვეს:

1. ელეონორა ნანიშვილმა აღნიშნა,რომ მეტი კომუნიკაცია არის საჭირო მრცეველთა საბჭოს წევრებსა და მოსახლეობას შორის,რათა უფრო კარგად გაიგონ საჭიროებები და პრობლემები.

კენჭი ეყარა:

სხომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

კენჭის ყრის შედეგად დადგინეს ცნობად იქნეს მიღებული ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ.

კრების თავმჯდომარემ-კობა მეტრეველი მრჩეველთა საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კრების მდივანი: ნ.გავაშელი

17.10.2022 წელი